მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! განახორციელეთ კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, უფრო გაბედულად დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 251 (12763) | შაბათი, 26 ოქტომბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა

ჟურნალისტთა მესამე მსოფლიო შეხვედრის მონაწილეთა ჯგუფს

25 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ჟურნალისტთა მესამე მსოფლიო შეხვედრის მონაწილეთა დიდი ჯგუფი, შეხვედრისა, რომელიც მიმდინარეობდა ხმელთაშუა ზღვის რაიონში 23 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე. შეხვედრის მონაწილენი ახლა ჩამოვიდნენ მოსკოვში სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოწვევით. გაბმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი, რომელიც ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

საუბარში მონაწილეობა მიიღო აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ევროპის ბევრი ქვეყნის 50-ზე მეტმა ცნობილმა ჟურნალისტმა. მათ შორის იყვნენ — ნგანგა ვანგუხუ, ვ. ნიავანდა (კენია), ტ. მის

მინა, ქიმია, ადამიანები

□ ჰერბიციდები სასწაულებს ახდენენ □ თვითმფრინავით ველზე. □ ჰექტარზე 35 ცენტნერი მარცვალი. □ კომბაინმა სახე იცვალა. □ მეგობრის ხელი. □ აკადემიკოს ლუკიანენკოსთან. □ „უფხო-1-ის“ ჰექტარები.

კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს სოფლის მშრომელებმა მიმდინარე წელს დიდ წარმატებას მიაღწიეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში.

ყუბანელთა შრომითი გამოცდილება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის მშრომელთა ყურადღების ცენტრშია. ამ დღეებში გამოცდილების გაზიარების მიზნით კრასნოდარელ მეგობრებს ესტუმრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია.

დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ამ დელეგაციის წევრის გარდაბნის რაიონის თელეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის გ. დალაქიშვილის წერილს, რომელშიც ნაჩვენებია ის მეთოდები და ხერხები, რომლებითაც მიაღწიეს წარმატებას ყუბანელებმა და თელეთელმა მშრომელებმა.

□ □

სოფლის მეურნეობაში პირველ საკითხად მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდება დადგა. ახლა მთავარია ჰექტარზე მოსავლიანობის მკვეთრი მატება. ამაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სასუქებმა, ჰერბიციდებმა. როგორ არის ამ მხრივ ჩვენთან საქმე?

წელს თელეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში პირველად გამოვიყენეთ ჰერბიციდები საშემოდგომო თავთავიანი კულტურებისა და სიმინდის ნათესებში ძლიერ გავრცელებული ერთწლიანი ორლებნიანი სარეველა მცენარეების მოსასპობად. ჰერბიციდებით ქერისა და ხორბლის ნათესების შეწამვლას ვაწარმოებდით ადრე გაზაფხულზე ჰეჰლილობის ფაზაში, როცა ჰაერის ტემპერატურა 10-15 გრადუსს აღწევდა, სიმინდის ნათესები შევწამლეთ უფრო გვიან მაისში, როცა სიმინდს 3-4 ნამდვილი ფოთოლი ჰქონდა. ხორბლისა და ქერის ნათესები თვითმფრინავით 800 ჰექტარზე შევწამლეთ, ხოლო სიმინდის ნათესები — 300 ჰექტარზე.

შესაწამლად გამოყენებული იყო ჰერბიციდი — ბუთილის ეთერის სითხე და ნატრიუმის მარილის ფხვნილი. თვითმფრინავით შეწამვლის დროს 100 ლიტრ წყალში გუთილის ეთერს ვხსნიდით 600-700 გრამამდე, ხოლო ნატრიუმის მარილის ფხვნილს ორჯერ მეტს — 1.200-1.500 გრამამდე.

ხანგრძლივი წვიმების გამო საშუალება არა გვქონდა ერთდროულად შეგვეტანა ჰერბიციდები თავთავიან კულტურებსა და სიმინდში. შეწამვლამ შედარებით უკეთესი შედეგი მოგვცა მაშინ, როცა სარეველა მცენარეები ახალი აღმოცენებული იყო და 3-4 ფოთოლი ჰქონდა. მაგრამ არანაკლები შედეგი მოგვცა შეწამვლამ მაშინ, როცა ყანები მუხლში იყო შესული და სარეველები (შალგი და ბოლოკა) უკვე აყვავილობდა. ამ შემთხვევაში სარეველა მცენარეების დეფორმაცია მაინც მოხდა, მათ დაკარგეს ასიმილაციის უნარი და სამუდამოდ დაიღუპნენ. ამის შედეგად კულტურულ მცენარეებს — თავთავიანებსა და სიმინდს საშუალება მიეცათ ნორმალურად განეგრძოთ ზრდა-განვითარება. ყოველივე ამან და სხვა აგროტექნიკურმა ღონისძიებებმა განაპირობა დიდი მოსავლის მიღება.

ჰექტარზე მივიღეთ ხორბალი 28 ცენტნერი, ქერი — 21 ცენტნერი და სიმინდი — 35-40 ცენტნერი მარცვალ. დიდი მოსავლიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხორბლის ზოგიერთი ნაკვეთი. მაგალითად, კუმისის დიდ ვაკეზე 134 ჰექტრის საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 34 ცენტნერი ხორბალი, ხოლო წალასყურულის 130 ჰექტარ ნაკვეთში ჰექტარზე — 35 ცენტნერი.

ჰერბიციდების გამოყენებით მეურნეობამ დიდი ეკონომია მიიღო. მაგალითად, ჰექტარის ხელით გამარგვლაში მუშაგისათვის უნდა მიგვეცა 8-10 მანეთი. ამ შემთხვევაში 800 ჰექტარი თავთავიანებისა და 300 ჰექტარი სიმინდის ნათესების გამარგვლაში მუშებისათვის უნდა გადაგვიხადა 11 ათასი მანეთი. აქვე უნდა ითქვას, რომ სარეველები ამ შემთხვევაში მთლიანად მაინც არ მოსპობოდა, როგორც ჰერბიციდებით დამუშავების დროს. ამასთან ხელით მარგვლა მძიმე სამუშაოა. **ჰერბიციდების გამოყენებით დანახარჯები ჰექტარზე ორჯერ და მეტად მცირეა.**

ამრიგად, შემდგომში მარცვლეულის წარმოების გადიდების ერთ-ერთ მთავარ პირობად უნდა მივიჩნიოთ მექანიზაციისა და ქიმიის გონივრულად გამოყენება, რაც საშუალებას მოგვცემს ამინდის ცუდ პირობებშიც კი მარცვლეულის უხვი მოსავალი მივიღოთ.

მომავალ წელს უხვი მოსავლის მისაღებად აქედანვე ვზრუნავთ. თვითმფრინავებით სათესლე ნაკვეთებში 200 ჰექტარზე უკვე შეტანილი გვაქვს სუპერფოსფატი, ახლავე ხორბლის თესვასთან ერთად შეგვაქვს 1,5 ცენტ. აზოტოვანი სასუქი და გაზაფხულზე შევიტანთ ჰეჰლილებში აზოტოვან სასუქს 1,5 ცენტნერის რაოდენობით.

ორიოდე სიტყვა მექანიზაციაზე: დღემდე 400 ჰექტარზე სამარცვლე სიმინდის აღებას ვაწარმოებთ „სკ-6-4“ კომბაინებით. **ახლახან გამოვცადეთ სიმინდის მარცვლის ასაღები მოწყობილობა,** რომელიც უკეთდება მარცვლეულის ამღებ თვითმავალ „სკ-3“ კომბაინს. ამ შემთხვევაში კომბაინი სიმინდს იღებს ისე, როგორც თავთავიან კულტურებს, ტაროს ფხვნის და მარცვალი ბუნკერში გროვდება. ეს ახალი საქმეა და დიდად ამცირებს ხელით შრომას. ამ საქმის დანერგვა ძლიერ შეუწყობს ხელს სამარცვლე სიმინდის მექანიზებული წესით აღებას.

ნარმატებები გვაქვს, მაგრამ უფრო მეტია საჭირო. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავეთა გამოცდილების გადაღებას. ამიტომ იყო, რომ სხვებთან ერთად კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს ვესტუმრეთ. ამ სამმართველოში გაერთიანებულია 27 კოლმეურნეობა, 2 საბჭოთა მეურნეობა და 2 საკავშირო საშეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაბაყრდენი პუნქტი.

უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უკავიათ 270 ათასი ჰექტარი მიწა, აქედან სახნავია 256 ათასი ჰექტარი.საზოგადოებრივი მეურნეობები კარგად არის აღჭურვილი ტექნიკით, აქვთ 2.000 ტრაქტორი, 1.000 კომბაინი, 1.000 ავტომანქანა, გარდა ამისა მეურნეობებს ემსახურება ავტოსატრანსპორტო კანტორის 400 ავტომანქანა.

მიმდინარე წელს ეთესათ: მარცვლეული და პარკოსანი კულტურები 120 ათასი ჰექტარზე, აქედან საშემოდგომო ხორბალი 85 ათასი ჰექტარი, ხორბლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე იყო 38,7 ცენტნერი, ხოლო ზოგიერთმა კოლმეურნეობებმა უფრო დიდი მოსავალი მიიღეს.

ჩვენ დავათვალიერეთ მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა „ყუბანეცი“, სადაც აყავთ 22 ათასი ღორი. გავეცანით ძროხებს დაუბმელად შენახვის მათს მეთოდს, ვნახეთ სარწყავი სისტემა, სადაც ნათესების რწყვა მხოლოდ დაწვიმებით ხდება.

ვიყავით კრასნოდარის სამეცნიერო კვლევითის ინსტიტუტში, სადაც მეურნეობის დირექტორი გვესაუბრა თავიანთ საქმიანობაზე. ინსტიტუტს აქვს 6.000 ჰექტარი სახნავი მიწა. აყავთ 550 სული ძროხა, 2.000 სული ღორი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის კოლექტივი მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოებასთან თავისი განყოფილებებით. სწორედ ამ ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ლუკიანენკომ გამოიყვანა საშემოდგომო ხორბლის ახალი ჯიში „უფხო 1.“ თვით აკადემიკოსი ლუკიანენკო გვესაუბრა თავის სამეცნიერო მოღვაწეობაზე. დაწერილებით გაგვაცნო ის თუ რა გზით შეიქმნა ძვირფასი ხორბლის „უფხო-1“ ჯიში. ლუკიანენკომ აღნიშნა, რომ „უფხო-1“ ჯიშის ხორბალს აქვს უდიდესი პერსპექტივა. მას შეუძლია მოგვცეს ჰექტარზე 60-80 ცენტნერი მარცვალი, ეს შედეგები პრაქტიკულად უკვე მიღებულია ბევრ კოლმეურნეობაში საწარმოო პირობებში, სადაც გამოიყენეს მინერალური სასუქები და გაატარეს აგროტექნიკით გათვალისწინებული სრული ღონისძიებანი. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ კოლმეურნეობები ინსტიტუტიდან და მისი დასაყრდენი პუნქტებიდან ღებულობენ სათესლე მასალას.

სანტერესო იყო კოლმეურნეობა „ყუბანის“ გაცნობა. კოლმეურნეობა 1955 წელს 9 სუსტი კოლმეურნეობის ბაზაზე გამხსნილდა.

კოლმეურნეობაში ძირითადად საშემოდგომო ხორბალს თესავენ. წელს ეთესათ 4.195 ჰექტარი. მთლიანად დათესილი იყო „უფხო-1“ ჯიშის თესლი. წელს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 43,8 ცენტნერი მარცვალი. გარდა ხორბლისა კოლმეურნეობას ეთესა 2.000 ჰექტარი სიმინდი. აქედან 1.000 ჰექტარზე აწარმოებენ ჰიბრიდიულ სიმინდს „ვირ-42“ და „ვირ-156“. ჰიბრიდული სიმინდის მოსავალი ჰექტარზე 41,2 ცენტნერს უდრის მარცვლად.

კოლმეურნეობაში 6 კომპლექსური ბრიგადა არის. თვითეულ ბრიგადაზე გაპიროვნებულია მიწა, ტექნიკა, მიმაგრებულია მუშახელი. ბრიგადის ტერიტორიაზე განლაგებულია მეცხოველეობის ფერმები. ყველა ბრიგადა გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. ბრიგადებს მიცემული აქვთ დავალებები, როგორც პროდუქციის წარმოებაზე, ისე მის თვითღირებულებაზე. ბრიგადის წევრებს და ხელმძღვანელებს შრომა უნაზღაურდებათ წარმოებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით.

მ ე ლ ე ბ ვ ი ს ი ს ყურადღება მიიქცია პირველ რიგში ნიადაგის დამუშავების მაღალმა კულტურამ. მოსავლის აღების პარალელურად მიმდინარეობს ხვნა. ხორბლის თესვის წინ ნიადაგს საგულდაგულოდ ამზადებენ. აფხვიერებენ, ასწორებენ ისე, რომ არსად არ იყოს უსწორ-მასწორო ხნული, ანდა კვერცხის ოდენა ბელტებიც კი. ახლა მიმდინარეობს საშემოდგომო ხორბლის თესვა. ყველა სათესზე მოწყობილია სასუქის შემტანი მოწყობილობა. თესვის პარალელურად შეაქვთ მინერალური სასუქი — აზოტი 1,5 ცენტნერის რაოდენობით ჰექტარზე, ხოლო გაზაფხულზე, ჰეჰილების გამოკვების მიზნით, ვარაუდობენ დამატებით შეიტანონ 1,5 ცენტნერი მინერალური სასუქი.

ნიადაგის წინასწარი დამუშავება აუცილებელი პირობაა მაღალი მოსავლის მისაღებად. ეს გამოცდილება უნდა ფართოდ დაინერგოს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ბრიგადის ხელმძღვანელები ძალზე მაღალ დონეზეა მეთესლეობის საქმე. აქ შექმნილია სპეციალური ბრიგადები, რომლებიც აწარმოებენ მაღალი ხარისხის თესლს. ამასთან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ინსტიტუტებიდან ღებულობენ ელიტურ და სუპერ ელიტურ სათესლე მასალას. შემდეგ მას ადგილზე პირველ და მეორე რეპროდუქციამდე თესავენ. მეორე რეპროდუქციის შემდეგ ხორბალს დასათესად აღარ იყენებენ. ეს კი დიდად უწყობს ხელს მოსავლიანობის გადიდებას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში გადამწყვეტ როლს მექანიზაცია ასრულებს. ტექნიკის გამოყენება ყველა კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც ჩვენი დელეგაცია გაეცნო, ძალზე მაღალ დონეზეა.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ფართოდ არის დანერგილი კომპლექსური მექანიზაცია. სწორედ ამით აღწევენ სასურველ შედეგებს. მაგალითად, ნიადაგის დასათესად მომზადების დროს იყენებენ დისკებიან სოოშებს, კბილებიან სატკეპნებს, საგზაო გრეიდერებსა და სხვა მანქანებს. ერთი საყურადღებო ამბავიც ვნახეთ: მანქანები, რომლებიც აქ მუშაობენ, თითქმის ყველა ნაწილობრივ გადაკეთებულია ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. ეს ათობლებს მუშაობას და შრომა მაღალნაყოფიერია.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება მთლიან ფართობზე ხდება გაყოფით. ეს წესი დიდად ამცირებს დანაკარგებს. სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი მექანიზატორთა კადრების მომზადებას. მაღალ დონეზე დგას მექანიზატორების მატერიალური დაინტერესების პრინციპის საქმე, რაც დიდად ეხმარება კადრების განმტკიცებას და ტექნიკის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების საქმეს.

მეგობრის ხელი გამოგვიწოდეს ყუბანელებმა და ჩვენც გადავწყვიტეთ ვიმუშაოთ მათი მაგალითით და უფრო გავდიდოთ სოფლის მეურნეობის იაფი პროდუქტების წარმოება, დიდი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

გ. დალაქიშვილი,
გარდაბნის რაიონის თელეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

მარელისელ მეავეჯეებთან

დაბა ორჯონიკიძე. (სკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს მარელისის ბრიგადა ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც მაიკოველ თანამოსაძმეებს ეჯიბრება. იგი ზებგზმოიმს პროდუქციას ივლევა, აუმჯობესებს ხარისხს, აკლებს პროდუქციის თვითღირებულებას.

ფაბრიკაში სერიოზულად ზრუნავენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ოქტომბრის დღესასწაულისათვის მთავრდება თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი. ასეთი საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს მომავალ წელს. მუშებისათვის აქვე აშენდება აბანო.

კარგი საქმე და პატარა ჩრდილი

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ კომბინატის მთავარი კორპუსის წინ აგურის ახლადნაგებ შენობაში მიმდინარეობს უზარმაზარი დანადგარის მონტაჟი.

— ეს განუწყვეტელი მოქმედების ავტომატური დანადგარია. — გვითხრა კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ზამთარაძემ.

— რისთვის არის საჭირო?

— აქ მოხდება ჭარხლიდან შაქრის წვენის გამოწურვა.

— აქამდე ეს პროცესი სად მიმდინარეობდა?

— ძველ დანადგარებში.

— ახლის უპირატესობა რა არის?

— ძალიან დიდია. ერთი ახალი შეცვლის თექვსმეტსავე ძველ დანადგარს. ამასთან ამ საქმისაგან სხვა სამუშაოებზე გამოსაყენებლად გაათავისუფლებს 15-16 კაცს, შეამცირებს დანაკარგებს და, რაც მთავარია, გაუმჯობესდება ჭარხლის ხარშვა, ამაღლდება შაქრის ხარისხი.

მონტაჟზე მომუშავე ადამიანთაგან უცხო სიტყვები მოგვესმა.

—ვინ არიან? — გვძღია ცნობისმოყვარეობამ.

— უნგრელები! — ღიმილით გვითხრა მთავარმა ინჟინერმა.

— უნგრელები?!

— დიახ! ეს დანადგარიც უნგრული, ვილჰელმ პიკის სახელობის მანქანათაშენებელო ქარხნიდან მივიღეთ. ახლა მის მონტაჟში გვიწევენ დახმარებას.

გავიცანით ისინი.

— ლაიოშ იანკენი, — გვითხრა მათმა

სამიროა მოლაპარაკება მოითხოვენ აბარელები

მეთვალყურეებმა — ელმძღვანელებმა — ვასილენკო და ბანგარნიკოსი ლაიოშ ტორო და ინჟინერ-ელექტრიკოსი ბელა რევეში.

უნგრელები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ მათს ქვეყანაში დამზადებული დანადგარი, რომლის მონტაჟზეც „ენერგოჭერმეტის“ რუსთავის სამმართველოს ეხმარებიან, საქართველოს შაქრის კომბინატში იმუშავებს.

— დღეღამეში რამდენ ცენტნერ ჭარხალს გადაამუშავებს ახალი დანადგარი? — ვკითხეთ ისევ მთავარ ინჟინერს.

— თხუთმეტ ათას ცენტნერს!

— როდის უნდა დამთავრდეს მონტაჟი?

— ნოემბრის ბოლოს. მაგრამ თუ რაიმეს დაწერას ამბირებთ, ისიც აღნიშნეთ, რომ თუ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ დროულად არ მოგვცა საჭირო მილები, მონტაჟი შეფერხდება.

ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. ვფიქრობთ, აგარელ მეშაქრეთა საჭიროებანი უყურადღებოდ არ დარჩება.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



ᲩᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲙᲔᲢᲡ?

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ცხოვრებაში ბევრი სასიხარულო მოვლენა ხდება. მაგრამ ახალი ბინის მიღების სიხარულს ვერაფერი შეედრება. ეს არც გასაკვირველია — ადამიანმა ბინაში უნდა გაატაროს მთელი თავისი სიცოცხლე.

ამ წერილის ავტორებს წილად გვხვდა განგვეცადა ახალი ბინის მიღების დიდი სიხარული, მაგრამ...

რვა თვის წინათ მეშახტეთა ქალაქში — ტყიბულში ოქტომბრის ქუჩაზე დამთავრდა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის შენებლობა. აქ 50 ოჯახმა მიიღო ახალი ბინა. შესახლების წინ სახლი რომ დავთვალიერთო, აღტაცებული ვიყავით: ბინები კულტურულად იყო მოწყობილი, სათავსები — გემოვნებით გათვალისწინებული.

ბინებში შევსახლდით. მოდიოდნენ ნათესავები და მეგობრები, გვილოცავდნენ კეთილმოწყობილი ბინის მიღებას. მაგრამ სიხარული მალე ჩაგვიმწარდა. ორიოდე თვის შემდეგ აღმოჩნდა მრავალი წვრილმანი დეფექტი. მაგრამ ამას ყურადღება არ მივაქციეთ. გავიდა კიდევ ცოტა დრო და პარკეტი ამოიზნიქა, ალაგ-ალაგ მთლიანად ამოცვივდა. ეს რომ მარტო ჩვენს ბინებში მომხდარიყო, არაფერს ვიტყოდით. 31 ბინაში, რომელთა ფართობი 1.160 კვადრატულ მეტრს შეადგენს, იატაკი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან, ცხოვრება არ შეიძლება.

ამის გამო არაერთხელ მივმართეთ მშენებელი ორგანიზაციის — ტყიბულშახტმშენის სამმართველოს ხელმძღვანელებს, მაგრამ ამაოდ. ისინი ტაბლი სიტყვებით გვისტუმრებენ, იატაკს კი არაფერი ეშველა. მასალების უქონლობას იმიზეზებენ.

ზამთარი კარს მოგვდგა. როგორი საქმეა უიატაკო ბინაში ცხოვრება?

ი. არსენიძე,
დასავლეთის შახტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი,

კ. ოსიძე,
ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი.

გ. ჯაფარიძე,
ლენინის სახელობის შახტის მუშა.

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲔᲣᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲔᲜ

• ᲨᲔᲛᲔᲣᲗᲐᲕ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲬᲘᲡᲠᲘᲒᲘ ᲨᲔᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲣᲧᲐᲠᲓᲔᲡ •

ᲐᲕᲐᲠᲘᲡ ციტრუსოვანთა ბაღნარებს ოკროსა და ნარინჯის ფერი შეეპარა. ტოტებდახუნძლულ ხეებს პატარძალივით დაუბრიათ თავები... შვიდწლედის შეხუთე წელს აჭარის მშრომელებმა სამშობლოს უნდა მისცენ 30 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც 10 ათასი ტონით აღემატება შარშანდელ გეგმას. რა არის საჭირო ამ გადიდებული დავალების პირნათლად შესრულებისათვის?

წარსული წლების გამოცდილებით ვიცით, რომ ნაყოფის დამზადების გაცხარებული სეზონი დაიწყება თუ არა, შემფუთავ ქარხნებთან რიგი გაჩნდება. არ პყოფნით ყუთები, ტრანსპორტი, ვერ აუდიან გადამუშავებას. არის საჩივრები, დავა, კამათი. ზოგი ვის სდებს ბრალს, ზოგი — ვის. ბოლოს იტყვიან: წელს სეზონს შემფუთავი ქარხნები მოუმზადებელი შეხვდნენო. მორჩა და გათავდა. დამნაშავეს არავინ ეძებს. ასე გრძელდება წლითიწლობით. სახელმწიფო, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კი ათეულ თასობით მანეთს ზარალობენ.

სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის საყვედურის ბარათები, თქვენ მიერ გამოგზავნილ ციტრუსებში ამდენი და ამდენი პროცენტი არასტანდარტული გამოდგა, ამდენი და ამდენი კილოგრამი დამპალიაო. თუ რატომ არის არასტანდარტული, რამ დაალპო ციტრუსები — ამაზე ხშირად თავს არ იწუხებენ სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელები. დამნაშავე კი შემფუთავი ქარხნებია. იქ ხშირად ხელოვნურად ქმნიან რიგებს, აყოვნებენ ნაყოფის დროზე მიღებას, რის გამო პროდუქცია ხარისხს კარგავს და ფუჭდება, სამაგიეროდ ჯიბეს ისქელებენ ქარხნებში მოკალთებული კომბინატორები.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ციტრუსების ლპობის შედეგად მიღებული ზარალი 1.825 ათას მანეთს აღემატება. აჭარკოოპკავშირმა შემფუთავ ქარხნებს ამავე პერიოდში შეუმუშავებლად ჩამოაწერა 1.037 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, როგორც დამპალი (!).

1961 წლის სეზონზე მარტო ჩაქვის შემფუთავ ქარხანაში (დირექტორი ა. კონცელიძე) 89,4 ტონა ციტრუსები დაალპეს, რითაც 59,9 ათასი მანეთის ზარალი ნახა წარმოებამ.

ციტრუსების შემფუთავ ქარხნებში ჯერ კიდევ არსებული უკანონობის, აშკარა მტაცებლობის მიზეზი თვით წარმოებაში მოკალთებული ადამიანებია. ვინ არიან ისინი? აი ზოგი მათგანის მოკლე დახასიათება.

ჯ. საფარიძე დიდი ხანია შემფუთავ ქარხანაში მუშაობს. არაკეთილსინდისიერი მუშაობისათვის რამდენჯერმე გადაყენეს, რამდენჯერმე მოხსნეს, მაგრამ მაინც ვიღაც-ვიღაცეების დახმარებით კვლავ უბრუნდებოდა „შენეული“ ადგილს. 1962 წელს აჭარკოოპკავშირმა ჯ. საფარიძე მუშათა კოოპერატივში დანიშნა. მისი ხელფასი 80 მანეთს შეადგენდა. მაგრამ ეს სამუშაო „არ მოეწონა“. თავისი „დარდები“ გაანღო აჭარკოოპკავშირის გამგეობის ყოფილ თავმჯდომარეს ს. ზოიძეს და მალე იგი ბათუმის შემფუთავი ქარხნის ტექნიკურ ხელმძღვანელად გადაიყვანეს და 45 მანეთი ხელფასი დაუნიშნეს.

— მერე რა, რომ 35 მანეთით ნაკლები ხელფასი მქონდა, ქარხანა კარგად იყოს, ათჯერ მეტს ჩამოვწელი, — თქვა გულში „უწყინარმა“ კაცმა და საქმეს შეუდგა. დაუკავშირდა ქარხნის მუშაკებს გ. რომანაძეს, მ. ჩაუშვილს და რ. სურამახიძეს. ადგენდნენ აქტებს თითქოსდა დამპალ ნაყოფზე, აწერდნენ ხელს, ითვისებდნენ დიდძალ თანხებს. არავინ არ დაინტერესებულა იმით, რომ ამაევე ქარხნის გამშვები საამქროს გამგეემ გ. რომანაძემ თაკის სახელზე 15 ტონაზე მეტი მანდარინის ნაყოფის ჩაბარების ქვითარი გამოიწერა. რომანაძე ქარხანაში მუშაობის პერიოდში ბ. ჩაუშვილ შეეძინა მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“ და ვინმე ლომაძეზე გააფორმა, თუმცა თვითონ მართავს. ბათუმის შემფუთავი ქარხნის ყოფილ დირექტორს ო. შავაძეს „დაავიწყდა“ წინათ მიცემული ლიტერატურა და რამდენიმე თვის შემდეგ ჩაუშვა ბრძანებით გაათავისუფლა სამუშაოდან როგორც შეუფერებელი...

ახალმა დირექტორმა გ. პეშკოვმა უფრო მეტი გულმოწყალება გამოიჩინა: ბ. ჩაუშვა სამუშაოზეც აღადგინა და ქალაქ „ᲣᲐᲓᲔᲠᲝ“ მიმდინარე წლის ოქტომბრის მილის მრეწველობის ავტომატიზაცი ი ს ა

და კონტროლის საშუალებათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურმა თათბირმა მუშაობა დაამთავრა. თათბირი სამ დღეს გაგრძელდა.

თათბირი მოიწვეს სსრ კავშირის შავი და ფერადი მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტმა, უკრაინის მილის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, შავი მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ. აქ მოწვეული იყვნენ ჩვენი დიადი ქვეყნის მილის მრეწველობის საწარმოთა ცნობილი სპეციალისტები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და მეგამავი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომაზე გამოსულმა სპეციალისტებმა და მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ სსრ კავშირის მილის მრეწველობაში დიდი მუშაობა განხორციელდა წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის. კერძოდ, ეს ეხება დგანს — „400“-ს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, მილსაგლინავ დანადგარებს დნეპროპეტროვსკის ლენინის სახელობის ქარხანაში, განუწყვეტელ დგანს სინარის ქარხანაში, ავტომატურ დანადგარს „140“, „220“, სამვალციან დგან „160“-ს პერვოურალსკის მილის ქარხანაში და სხვ. მილის მრეწველობის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად უკანასკნელ ხანებში პროდუქციის მატება წელიწადში ასეულათასობით ტონით გაიზარდა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა მიიღო რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მილის წარმოების წინაშე დასახული ამოცანის გადაწყვეტას — 1,8-ჯერ გადადდეს მილების წარმოება შვიდწლეულის დამლევისათვის. კერძოდ, გადაწყდა გაძლიერდეს მუშაობა მოწყობილობის მოდერნიზაციის ცალკეულ პრობლემებზე, ახალი მექანიზმებისა და ხელსაწყოების შექმნაზე, დაინერგოს ჩვენი ქვეყნის ყველა მილის ქარხანაში საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მოწყობილობანი და ხელსაწყოები, რომლებმაც მოწონება დაიმსახურეს.

თათბირის მუშაობის უკანასკნელ დღეს სტუმრებმა დათვალიერეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროები.

სსრ სახალხო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ—ᲛᲘᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. 24 ოქტომბერს მილის მრეწველობის ავ-

ᲛᲘᲜᲐᲨᲘᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ.

**ᲛᲘᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

საიათნოვა 250

დღეს ერევანში

დღეს ერევანში ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მოღვაწის, დიდი ჰუმანისტი-პოეტის საიათნოვას საზეიმო-საიუბილეო დღე. სომხეთის დედაქალაქის მშრომელები დიდი ხანია ემზადებოდნენ პოეზიის ამ თავისებური დღესასწაულისათვის.

საღამოს ერევნის ა. სპენდიაროვის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართება დიდი საიუბილეო-საზეიმო საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საიათნოვას იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. ძმაჩინიანი.

მოხსენებას დიდი მგოსნის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხავს სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი ე. თოფჩიანი.

საიათნოვა-ასაცოდნელობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდი სპარსელი მგოსნისა და ერეკლე მეორის ურთიერთობის საკითხს. ცნობილია, რომ ეს ურთიერთობა სამწუხარო შედეგით მწვავე კონფლიქტით დამთავრდა. მაგრამ დუმდის გაურკვეველი და საძიებელია კონფლიქტის ნამდვილი მიზეზები და გარემოებანი, დასადგენია კონფლიქტის თარიღიც.

ქალაქის მდაბიოთა სოციალური წრიდან გამოსულმა საიათნოვამ დიდ წარმატებას მიაღწია. ერეკლემ იგი თავისთან მიიწვია და კარის მგოსნის სპეციალური თანამდებობა უბოძა.

თავმოწონებითა და სიამაყის გრძნობით აცხადებს მგოსანი:

საქართველოს მეფის საზანდარი ვარ,
საიათნოვას — არუთინას იტყვიან.

საიათნოვა რამდენჯერმე სახელდებით ახსენებს თავის მბრძანებელს. ერთ ლექსში ამბობს: „საიათნოვას ხელმწიფე ყენ-შაპაზი ირაკლიაო“, სახელმწიფო მოღვაწე და ხელოვნების დიდი მოყვარული ერეკლე წყალობით მოპყრობია სახელმოხვეჭილ აშუღს. აშუღიც დიდად აფასებდა მეფის ყურადღებას. საიათნოვამ ერეკლეს უძღვნა რამდენიმე ბრწყინვალე სახოტბო ლექსი. ამ ლექსებს თუმცა ერთგვარად დაკრავს საკარო პოეზიის სპეციფიკური იერი, მაგრამ ისინი კარგად გვაგრძნობინებენ აშუღის გულწრფელ აღტაცებას და ნამდვილ პოეტურ მოღელვარებას.

საიათნოვას ბიბლიადა ერეკლეს გამჯრიახი პოლიტიკური ქაქუა, პროგრესული სახელმწიფოებრივი საქმიანობა, რაინდული მეამბოხეობა და პირადული, ადამიანური უბრალოება. მგოსანი მოწიწებითა და სიყვარულით ამკობდა მეფეს, უწოდებდა მას „საქართველოს გულს“ („მთელი საქართველოს გულისა ხარო“). ამით მგოსანი ამყოვანებდა არა მარტო თავის საკუთარ ლირიკულ განწყობილებას, არამედ ქვეყნის მოწინავე საზოგადოებრიობის საერთო პოლიტიკურ გულისთქმასაც გამოხატავდა.

აშუღი არ იშურებდა პოეტურ სიტყვას, რომ შესაფერისად გამოთქვა ერეკლეს ქება, მაგრამ მაინც კრძალვით ურთავს: „შენსა ქებას საწერელი ზღვა უნდა“.

„ანათვე ქვეყანასა, მთვარე და მზე ხარ,
ნეტარი არ დადამდე, რა კაი დღე ხარ“,

მიმართავს იგი მეფეს. საიათნოვამ პოეტურად გამოკვეთა მტრის შემზარავი, ხმალ-ამოწვდილი მეფე-რაინდის შთამბეჭდავი სახე.

განსაკუთრებით საინტერესოა საიათნოვას მიერ ერეკლეს განმაახლებლური მოღვაწეობის პოლიტიკური მხარის მაღალი შეფასება. ამით მგოსანი აშკარად ემიჯნება მაშინდელი ქართველი საზოგადოებრობის კონსერვატიულ-რეაქციულ ფრთას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოწონაე სომეხი საზოგადოებრიობაც ერეკლეზე ამყარებდა თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და მომავალი აღორძინების საოცნებო იმედებს.

ამრიგად, საიათნოვა ცხადლივ ასახავს მე-18 საუკუნის ქართველთა და სომეხთა საზოგადოებრიობის პროგრესული წრეების პოლიტიკურ გუნება-განწყობილებას, იმათ სახელმწიფოებრივ-პატრიოტულ იდეალებს.

ერეკლესადმი მიძღვნილი ლექსებით საიათნოვამ არსებობად თავი დაიღწია ძველი ქართული სახოტბო პოეზიის პირობითობას და შექმნა აშუღური სტილის ორიგინალური სამქებრო შედევრთა ციკლი.

ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რამდენ ხანს გაგრძელდა მეფისა და მგოსნის კარგი ურთიერთობა. ცნობილია მხოლოდ, რომ ერთ მშვენიერ დღეს საიათნოვა მოულოდნელად დაითხოვეს სასახლიდან, უკეთ, გაიძევეს. საიათნოვას ღვიძლი შვილის ივანე სეიდოვის სიტყვით, ერეკლე „თავის ულირს მონას, საცოდავ საიათნოვას გასწყრომია და გარეთ გაუგდია“. ივანე სეიდოვი ვერ ახსნის მეფის წყრომის მიზეზს, იგი მხოლოდ მწარე ბულისტკივილით დასძენს: „გულში ნაღველი ბევრია, მაგრამ ენას ვერ მოუხერხებია“. თვითონ მგოსანი გვაუწყებს:

ხელმწიფეს ვეახელ უცხოდ მორთული,
საზი ხელთ მეჭირა მე გამართული,
მათასავით დამბარუნეს დართული...
—ნეტამც არ შემეტყო მე ის ქართული!—
წადი, ბუჭყიანი ხალიჩა ხარო.

ნათქვამია: ერთხელ მთა მთას ეცემა,
— ღვთის ნებაა წყალობისა გაცემა, —
შენის ხელით იყოს ჩემი გაცემა...

ნეტა არ გაგეგდე, კარგად გეცემა,
ჩემი სულიერი დედ-მამა ხარო.

საიათნოვას უცდია თავის მართლება, სარჩელისათვის ვის მიმართავდა, თუ არა ადრინდელ მწყალობელ პატრონს? „სამართალი მაყავ, ხელმწიფე ხარო“. აშუღს იმედი არ გაუმართლდა. მას სამართალი არ აღირსეს. შეურაცხყოფილი მგოსანი მეფეს თხოვნით აწერწმუნებდა:

დამეხსენი, ავკაცობა არ მიდნა,
ქვეყანაზე გაფენობა არ მინდა,
ავი სიტყვის შენთან მბობა არ მინდა,
ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა.

ამასთან აშუღი იძლეოდა გაფრთხილებას:

საიათნოვა შეინახე ჩინათა,
ვერ იშოვი იმისთანა კარგ ყმასა.

როდის გაიძევეს საიათნოვა სამეფო კარიდან და რა უნდა ყოფილიყო ამისი მიზეზი? უახლესი სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, საიათნოვა თითქოს ორჯერ იქნა სასახლიდან გაძევებული, პირველად 1752-1753 წლებში, ხოლო მეორედ და საბოლოოდ 1759 წლის მეორე ნახევარში. გაძევების ნამდვილი მიზეზი ცნობილი არ არისო, ამბობს სურენ გაისარიანი თავის საინტერესო წერილში, რომელიც შესავლად აქვს წამძღვარებული. საიათნოვას ლექსების რუსული თარგმანის ახალ გამოცემას (ლენინგრადი, 1961წ.). ავტორი უფრო იქითკენ იხრება, რომ საიათნოვას გაძევება უნდა გამოეწვია აშუღის საბედისწერო რომახს ერეკლეს სამეფო კარზე ვიღაც დიდგვაროვან მანდილოსნის, ვაროფდით, ერეკლე მეფის დის ანას მიმართ. ასეთი თვალსაზრისი უფრო მკაფიოდ და უფრო გადაჭრით აღრე, გამოთქვა ვალერი ბრიუსოვმა. ჯერ კიდევ იოსებ გრიშაშვილმა შენიშნა: „ვაი თუ პატივცემული პოეტი (ბრიუსოვი) სცდებოდეს, რადგან ასეთი რომანი ჰქონდა მხოლოდ ბესიკს, თითქმის საიათნოვას თანამედროვე მგოსანს“. პროფესორმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ვ. ბრიუსოვის მოსაზრებას ფანტასტიკური და სენსაციური „თეორია“ უწოდა. ამისდამიუხედავად, ვ. ბრიუსოვის თეორია ასე თუ ისე ცოცხალია დღესაც. მას ერთგვარად ახლავს იცავენ პროფესორი გ. აბოვი, მკვლევარი ს. გაისარიანი და სხვ.

ჩვენ არ მოგვეპოვება ანგარიშგასაწევი არც ერთი საბუთი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა საიათნოვას სასახლიდან გაძევების მიზეზად რომანული ამბის მიჩნევა. ყოველ შემთხვევაში საწინააღმდეგო დასკვნების მისაღებად ქართული მასალები არ გამოდგება.

გავიხსენოთ საიათნოვას სარჩელის ერთი ნაწყვეტი:

ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა.

ერთი შეხედვით, თითქოს საიათნოვას თავი მოჰქონდა თავისი გლეხური მდგომარეობით და უარს ამბობდა თავადობაზე. რა თქმა უნდა, სავმე ასე არ არის. არა გვგონია **მაშინდელ დროში** ვინმეს უარი ეთქვა თავადობის ძარღვ. პატივზე. მაგრამ აბა, უბრალო გლეხი შვილს, თუმცა დიდად ნიჭიერ მგოსანს, თავადობას ვინ აღირსებდა?! თუ კარგად ჩავუკვირდებით დამწმებულ სტრიქონებს, უთუოდ შეენიშნავთ სიტყვიერი და ფრაზეოლოგიურ მიდრეკილებას მან დაუპირისპირა გლეხობის ჯანსაღი ეროვნულ-საზოგადოებრივი მისწრაფებანი.

საიათნოვას საბრძოლო განწყობილებას შეეთხვევინო გარემოებით ვერ ავხსნით. საფიქრებელია, რომ სახელოვანი აშუღი უნდა გამხდარიყო საკარო დიდაქაცური წრეების სოციალური შურის, სიძულვილისა და ცილისწამების უდანაშაულო მსხვერპლი. საიათნოვას თვითმოწმობით, იგი იყო „მეფეთაგან შეჯლიშმოწოდებული, თავადებთან ბატივცემით შვებული, ალსფერის კაბით გაშვენებული“. ეტყობა, მაღალი არისტოკრატიული საზოგადოება პირფერულად აგარიშს უწევდა სამეფო კარის ნიჭიერ მგოსანს, მაგრამ ეს საზოგადოება ნამდვილად ვერ შეითვისებდა და ვერ შეიწყნარებდა მდაბიოთა მოდგმის პოეტ-მომღერალს, რომელსაც თავისებური ხალხური სულნელება შეჰქონდა სასახლის დახუთულ წრეში. „წადი, ბუჭყიანი ხალიჩა ხარო“, მოურიდებლად დაუგესლავთ იგი.

ისიც აღსანიშნავია, რომ ერეკლესთან შეჩვეული და გამნაურებული აშუღი საითაც გაიქეცა, იქით წაიქეცა, ბოლოს დასრულ ბედთვალთან შეიქენ.

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა?
ქორი ვიყავ, ძერობა რად მინდოდა?
ერი ვიყავ, მოდგილობა რად მინდოდა?
მოდი, მითხარ, ბერობა რად მინდოდა?

ახპატის მონასტერში ჩასული საიათნოვას მანამდე ვერ შეეცალა ამაყი ამაყი. ეკლესიის ეზოში ... ზე აკეთებინებდა ... ბა გადაკვეწყვს. სწორედ ამ ... ოდმა შექმნილი ძალი ბრწყინვალე „შე საწყალო ჩემო თაო“.

იოანე ბატონიშვილის მონათხრობის თანახმად, ახპატის მონასტერს სწერეკია ბერი ნიონა ხელოვანი. მონასტრის ვართაპეტი კარგად გამასპინძლებია სტუმარს, მერმე აუღია ჩონგური, შეუწყვია ხმა და დუმდეკრებია აშუღური ლექსი. გაოცებულ ხელოვანს საქმის ვითარება რომ გამოუკითხავს, გართაპეტს უპასუხნია: „მე კახლავარ სბრალო საათლამა, თუ გაგიგონიათო“, „ოდეს მაკურთხეს მე ბერად, ეს სიმები უბეში დამრჩომოდა და ესეც ჩემთან ეკურთხა და ამ ნაკურთხს სიმებზე ვუკრავ ხმებსო“.

ნიონე ბატონიშვილმა „დაგვიხატა ბერად შემდგარი საიათნოვას ცოცხალი სურათი. გადმოცემითაც, როდესაც განდეგილ მგოსანს დასძლევდაო აშუღური წყალი, იგი გაიკრებოდა თურმე თბილისში, მოედდაოდა მმობლიური ქალაქის ქუჩებს, მოედრეს, ბაღებს და აღტაცებულ ხალხს შთამაგონებლად უმღეროდა თავის მგზნებარე ლექსებს, მტკვრის ნაპირებზე კვლავ ირხეოდა ნაცობი ხმები:

საქართველოს მეფის საზანდარი ვარ,
საიათნოვას — არუთინას იტყვიან!

საიუბილეო გამოცემები



საიათნოვას ქართული ლექსების კრებული (28 ლექსი) პირველად 1918 წელს გამოაქვეყნა საქართველოს სახალხო პოეტმა ი. გრიშაშვილმა. მას შემდეგ მოპოვებულ იქნა და დიდი აშუღის პოეტური მემკვიდრეობა შეივსო რვა ლექსით, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა პერიოდული პრესის ფურცლებზე და კრებულებში.

ახლა, მგოსნის საიუბილეო დღეებში, ქართველმა მკითხველებმა კარგი სიხარული მიიღეს. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა საიათნოვას დღემდე აღმოჩენილი ქართული ლექსების სრული კრებული, რომელშიც 35 ლექსია მოთავსებული.

კრებულს, რომელიც იხსნება პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის წინასიტყვაობით, დართული აქვს ლექსიკონი, კომენტარები ტექსტისათვის და წიგნის რედაქტორის, პროფესორ ალ. ბარამიძის ვრცელი ნარკვევი საიათნოვას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

დიდი ოსტატობითა და სიყვარულით გაუფორმებია წიგნი საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს. მაღალი გემოვნებით არის შესრულებული სუპერი, გარეკანი, სატიტულო ფურცელი, ლექსთა თავსართები და ბოლოსართები.

* * *

„საიათნოვას ლექსი ცოცხალია დღესაც. ვინაიდან მის სტრიქონებში ხალხის გული მეტყველებს. ის ხალხის წიაღში დაიბადა და აღზარდა; აქედან მოდის მისი მაღალი ჰუმანიზმი, ქადაგება იმ სიკეთისა და კაცთმოყვარეობისა, ადამიანებისადმი იმ თანაგრძნობისა, მშრომელის მარჯვენისადმი იმ პატივისცემისა, რომელმაც საიათნოვას უფლება მისცა თავისი თავისათვის ხალხის ნოქარი ეწოდებინა“, — წერს თავის ახალ წიგნში მწერალი გიორგი ნატრაშვილი. ეს პატარა წიგნი, რომელსაც ეწოდება „სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს“, გამოსცა „ნაკადულმა“.

წიგნის რედაქტორია ხუტა ბერულავა, მხატვრობა ეკუთვნის დ. დუნდუას.

საიათნოვა და ერეკლე

ალექსანდრე ბარამიძე.

დახმარების ხელი ჩამორჩენილ ქვეყნებს

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ლ. პონომაროვი იუწყება:

გენერალური ასამბლეის სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტში გრძელდება დისკუსია ეკონომიური და სოციალური საბჭოს მოხსენების გამო მსოფლიოს სოციალური მდგომარეობის შესახებ.

ღილის სხდომაზე გამოვიდნენ ბელორუსიის სსრ, ინდონეზიის, ისრაელის, მაროკოს, მალის, მალაიზიისა და ლიბერიის წარმომადგენლნი. კამათში გამოსული დელეგატები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უყურადღება დაუთმოს სოციალურ განვითარებასა და გარდაქმნებს სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან დაკავშირებით ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა მ. ა. მინკოვიჩმა აღნიშნა, როგორც დადებითი ფაქტორი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მუშაობა, რომელიც ახლა გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს ინდუსტრიალიზაციის, მიწის რეფორმის საკითხებს, დაგეგმვას, საბინაო მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის, უწიგნურობის ლიკვიდაციის საკითხებს. ამასთანავე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭო ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყენებს სოციალისტური ქვეყნების დაგეგმვის გამოცდილებას.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა მოიყვანა სოციალისტურ ბელორუსიაში ეკონომიკისა და სოციალური უზრუნველყოფის სწრაფი განვითარების ზოგიერთი მონაცემი. ამავამად ბელორუსიის სს რესპუბლიკა 9 დღეში აწარმოებს მრეწველობის იმდენ პროდუქციას, რამდენსაც რევოლუციამდე წარმოებდნენ მთელი წლის მანძილზე.

გოლგეთი დემონსტრანტების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პოლიციამ ცრემლსადენი გაზის ბომბები გამოიყენა და გაფანტა მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგი, რომელიც „დომინგოს რევოლუციურმა პარტიამ“ მოაწყო, იუწყება სანტო-დომინგოდან იუსაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი.

მიტინგის მონაწილენი მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლებას დაუბრუნდეს დომინგოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ხუან ბოში, რომელიც ერთი თვის წინათ დაამხეს სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების შედეგად.

რამდენიმე ათეული კაცი დაპატიმრებულია. არიან დაჭრილები.

კუბა მადლობას იხდის

ჰავანა, 25 ოქტომბერი. (საკდესი). კუბის დედაქალაქში გულწრფელი მადლობით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს კუბის პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროსადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა გაუწიოს კუბას უსაყოფლო დახმარება სტრატეგიურ უბედურებასთან დაკავშირებით.

ცხარე კამათი

ლონდონი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ინგლისის პარლამენტი შეიკრება გასული სესიის დახურვის ცერემონიაზე, რომელზეც სესიის შედეგებს აჯამებენ. ჩვეულებრივ ეს სხდომა წმიდა ფორმალური ხასიათისაა ხოლმე, ვინაიდან რამდენიმე დღის შემდეგ პარლამენტი განაახლებს თავის მუშაობას. მაგრამ წელს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. იმასთან დაკავშირებით, რომ ახლანდელ პრემიერ-მინისტრმა დუგლას-ჰიუმმა უარი თქვა თავის ადგილზე ლორდთა პალატაში, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ორი კვირით გადადოს პარლამენტის ახალი სესიის დაწყება, რათა საშუალება მისცეს პრემიერს აირჩიონ თემთა პალატაში, სადაც ახლა მას მხოლოდ მაყურებლად შეუძლია ყოფნა. მთავრობის ამ ნაბიჯმა მძაფრი პროტესტები გამოიწვია ლეიბორისტულ ოპოზიციაში, რომელმაც გადაწყვიტა შეებრძოლოს კონსერვატორებს ორივე პალატაში.

ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერმა ჰაროლდ ვილსონმა, რომელმაც კამათი გახსნა, სასტიკად დაგმო კონსერვატორები დემოკრატიის დარღვევისათვის. მთავრობის გადაწყვეტილება ახალი სესიის გახსნის გაჭიანურების შესახებ ლეიბორისტულმა ოპოზიციამ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ლორდთა პალატაშიც.

ლეიბორისტული ოპოზიციის რეზოლუციის კენჭისყრის დროს იგი უარყო კონსერვატორთა უმრავლესობამ.

სიტყვაში, რომელიც ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკას მიეძღვნა წინა სესიიდან გასული პერიოდში, ელიზაბეთ II-ს, მოწონებულია მოსკოვის ხელმეკრულების დადება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსური სივრცეში და წყალქვეშ.



ალჟირის მთავრობის მოთხოვნა

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ალჟირის მთავრობამ ოფიციალურად მოითხოვა სსსრ-ისგან მოიწვიონ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო მაროკო-ალჟირის სასაზღვრო კონფლიქტის განსახილველად. ალჟირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შანდერლომ თავისი მთავრობის სახელით აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის დროებით გენერალურ მდივანს ტესფაიე ვუბრე-ეღზის გადასცა წერილი, რომელიც ამ წინადადებას შეიცავს. შანდერლომ გამოთქვა იმედი, რომ კონფლიქტი შშვიდობიანად მოწესრიგდება აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის ფარგლებში ისე, რომ არ მომართონ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

თავისი თხოვნა რომ დაასაბუთა, ალჟირის მთავრობამ დაიმოწმა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წესდების მე-3 და 22-ე მუხლები, რომლებიც ეხება აფრიკის სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას.

ფოტოფელეტონი სული და გრიმი

ბონის ყოფილ კანცლერს კონრად ადენაუერს თავისებური რეკორდი ეკუთვნის. როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესის უწყების ხელმძღვანელი ფონ ჰაზე ადასტურებს, გერმანიის მთელი ისტორიის მანძილზე არც ერთი კანცლერი არ გამოსულა ისე ხშირად, როგორც ადენაუერი. ციფრები, რომლებიც მას დამამტკიცებელ საბუთად მოჰყავს, მართლაც ახდენს შთაბეჭდილებას. ამა განსაკუთ. შაუმბურგის სასახლეში თავისი ყოფნის დაახლოებით 5.000 დღეში ადენაუერი გამოსულა 1.411-ჯერ მას წარმოუთქვამს 647 ოფიციალური სიტყვა, გაუმართავს 450 საინფორმაციო

საუბარი და ინტერვიუ, გამოუქვეყნებია 152 სტატია, მოუწყვია 93 პრესკონფერენცია და გაუცეთებია 69 განცხადება მთავრობის სახელით.

განა თქმა უნდა იმას, რომ ბონის ექს-კანცლერს ყველა ამ 1.411 გამოსვლიდან მუდამ უბერავდა „ცივი ომის“ ყინულივით სუნთქვა. დიახ, ადენაუერი გულუხვად თესავდა დრაკონის კბილებს საერთაშორისო ასპარეზზე.

სურათზე, რომელიც ეურნალ „შტერნიდან“ მოგვაქვს, თქვენ ხედავთ ადენაუერს მისი უკანასკნელი გამოსვლის წინ დასავლეთ გერმანიის ტელევიზიით. ოპერატორები განსაზღვრავენ განათების ძალას, გრიმიორი სახეზე ნაოჭებს უსწორებს. მაგრამ ყოველი განათებისას და ყოველი გრიმით „ცივი ომის“ პატრიარქი იმად რჩება, რაც არის. სწორედ ამ გამოსვლაში ტელევიზიით ადენაუერმა რეტი დაასხა მსმენელებს თავისი განცხადებით, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურს თითქოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც შესთავაზა „დაზავება“ ათი წლის ვადით. როგორც ხაზგასმით იყო აღნიშნული სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, ეს იყო ცდა უვარგის საშუალებათა გამოყენებით, კანცლერის პოსტს რომ ტოვებდა, ადენაუერს უნდოდა ერთხელ კიდევ მიეყენებინა ჩრდილი საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისათვის და ამავე დროს თავი გაემართლებინა, როგორც კანცლერს, რომელიც თითქოს იბრძოდა მშვიდობისათვის და გერმანიის გაერთიანებისათვის.

არავინ არ დაუჯერა ყოფილ კანცლერს. ვერც გრიმმა უშველა და ვერც განათებამ. პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმეებზე ხომ სულის მიხედვით მსჯელობენ და არა გრიმის მიხედვით, მათ შეფასებას აძლევენ არა იუპიტერების შუქზე, არამედ ისტორიული ფაქტების შუქზე.

მ. სტურუა.
(„იზვესტია“, 24-X).

ვაშინგტონი ესპანეთის დიქტატორის დასაყრდენია

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). გამოვიდა ეურნალ „სპეინ ტუდეის“ სპეციალური ნომერი. ეს არის ორგანო დემოკრატიული ესპანეთისათვის მებრძოლი კომიტეტისა, რომლის თავადარი ბინაა ნიუ-იორკში. ამ ნომრის მასალები შეიცავენ პროტესტს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფრანკისტულ ესპანეთს შორის სამხედრო შეთანხმების განახლების წინააღმდეგ.

ეურნალის ნომერი იწყება ესპანეთის რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ალვარეს დელ ვაიოს სტატიით, რომლის სათაურია „ფრანკო — ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე“. სტატიაში, კერძოდ, ნათქვამია:

„აქვეყნებდა რა ცნობას მადრიდიდან, რომ ვაშინგტონთან განახლდა ხელშეკრულება ამერიკის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შესახებ ესპანეთში, გაზეთი „ნ-უ-იორკ ტაიმსი“ წერდა „დიდ სახარულზე“ ფრანკისტულ ბანაკში და ცივ დამოკიდებულებაზე, რაც გამოიჩინეს ოპოზიციურმა წრეებმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ასეთი პაქტი მოწოდებულია განამტკიცოს ფრანკოს პოზიციები.

„ცივი დამოკიდებულება“ ერთობ დიპლომატიური სიტყვაა. ესპანეთიდან მიღებული ჩემი საკუთარი ცნობები, — აღნიშნავს შემდეგ ალვარეს დელ ვაიო, — მოწმობენ, რომ ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ცინიზმის ახალი გამოვლინება და აბუჩად აგდება მისი საკუთარი მტკიცებისა, რომ იგი „თავისუფალი მსოფლიოსათვის“ მებრძოლის როლს ასრულებს. ეურნალი აღნიშნავს, რომ ამერიკა-ესპანეთის შეთანხმების ხელისმოწერამ გააძლიერა ანტიამერიკული განწყობილება ესპანეთში, და მოპყავს ესპანეთის ოფიციალური საინფორმაციო საგენტოს კომენტარი, რომელიც აცხადებს, რომ ამ ახალი პაქტის მეოხებით „ესპანეთი ხდება შეერთებული შტატების მოკავშირე“. მაშასადამე, ყოველი ესპანელი, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით ფრანკოს მოწინააღმდეგეა, — ახლა კი ფრანკოს მოწინააღმდეგედ შეიძლება ჩაითვალოს ესპანეთის მოსახლეობის უმრავლესობა, — აუცილებლად უნდა იყოს ფრანკოს „მოკავშირის“, ესე იგი შეერთებული შტატების მთავრობისა და მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგეც.

აღშფოთება კენედის მთავრობის ამ გადაწყვეტილების გამო, რომელიც მეტად ხელსაყრელია ჰიტლერის დროიდან დარჩენილი ამ ერთადერთი ფაშისტური დიქტატურისათვის, განსაკუთრებით დიდია ამჟამად, რადგან ევროპის სამხედრო სპეციალისტებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის გაბატონებულია აზრი, რომ თანამედროვე ატომური იარაღის ხასიათსა და ამას წინათ დადებული მოსკოვის ხელშეკრულების გამო ომი შეერთებული შტატებისათვის აბსოლუტურად უსარგებლოა ამ შეთანხმების გაახლება ესპანეთთან.

მაგრამ თუ სამხედრო და სტრატეგიული თვალსაზრისით შეთანხმებას ბაზების შესახებ ნაკლებად აქვს აზრი, პოლიტიკური თვალსაზრისით მისი ახსნა ძალიან ადვილია, აღნიშნავს სტატიის ავტორი. შეთანხმების განახლებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერი მიზანი: დაეხმაროს დიქტატორ ფრანკოს შეინარჩუნოს ხელისუფლება მზარდი ოპოზიციის პირობებში, რომლის ამასწინანდელი გამოვლინება იყო ასტურიის მაღაროელთა შესანიშნავი 60 დღის გაფიცვა.

ეურნალ „სპეინ ტუდეის“ ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ესპანეთის ინტელიგენციის 100 თვალსაჩინო წარმომადგენლის პროტესტი იმის გამო, რომ გრძელდება ფრანკოს მთავრობის რეპრესიები ასტურიელი მაღაროელების წინააღმდეგ.

ძმური დახმარება

ულან-ბატორი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მატერიალური დახმარება გაუწიოს კუბას 542 ათასი ტუგრიკის ოდენობით იმ ზარალთან დაკავშირებით, რომელიც გრიგალმა „ფლორამ“ მიაყენა კუბის ეკონომიკას, იუწყება მონცამეს სააგენტო.

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). რომში შეიკრიბა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება — „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრობლემები“ პლენუმზე წაიკითხა იტალიის კომპარტიის სამდივნოს წევრმა ენრიკო ბერლინგუერმა.

სხვადასხვა მეридიანზე

□ **თეირანში** დიდი წარმატებით უჩვენებენ საბჭოთა ხმატვრულ ფილმს „კეთილ ადამიანებს შორის“. ამის შესახებ გაზეთი „ეთელაათი“ წერს: „იმდენად ძლიერი იყო უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ხალხის სურვილი ენახათ ფილმი „კეთილ ადამიანებს შორის“, რომ ჩვენ ამ ფილმს მეოთხე კვირაა ვუჩვენებთ“.

□ **ამერიკის** შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რასკი ბონს გაფრინდა. იგი იქ შეხვდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ერჰარდს. დასავლეთ გერმანიაში გამგზავრების წინ რასკმა განუცხადა კორესპონდენტებს, რომ იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას ახსნა-განმარტებას მისცემს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „სავსებით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ნატოს წინაშე“.

ამერიკის დავიწყებული ადამიანები

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). „ჩვენს ქვეყანაში არის სრულიად დავიწყებულ მოკალაქეთა ჯგუფი“, — ასე ახასიათებს სარედაქციო სტატიაში ამერიკელ ინდიელთა მდგომარეობას ეურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“.

ეურნალი აღნიშნავს, რომ „ნახევარ მილიონზე მეტი ამერიკელ ინდიელთა უმრავლესობა ახლა თითქმის ისევე განიცდის სეგრეგაციას, როგორც 350 წლის წინათ, როცა თეთრკანიანმა ახალმოსახლეებმა დაიწყეს ტომის მიწებიდან მათი განდევნა“. რეზერვაციაში მყოფი 380 ათასი ინდიელი, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, ცხოვრობს „უფრო უბადრუკ ჯურღმულებში, ვიდრე უარესზე უარესი, ეგრეთ წოდებული ზანგთა გეტოებია... მათგან მეტი წილი ცხოვრობს ქოხებში, მიწურებსა ან ტოლის ქოხმახებში“.

ამერიკელ ინდიელთა გაჭირვებული მდგომარეობა ღრმავდება მათი ოჯახების მცირე შემოსავლით, რომელიც ხშირად არ ჰყოფნით მათ კვების ყველაზე აუცილებელი პროდუქტებისა და ტანსაცმლისათვის. „მაგალითად, — აღნიშნულია სტატიაში, — შარშან რეზერვაციაში მყოფ ინდიელთა ოჯახების შემოსავალი შეადგენდა.. ზანგი ოჯახების საშუალო შემოსავლის ნახევარზე ნაკლებს“ და დაასლოებით ოთხჯერ უფრო მცირე იყო, ვიდრე ამერიკელთა ოჯახების საშუალო შემოსავალი.

რეზერვაციაში ცხოვრების აუტანელი პირობების გამო სასოწარკვეთილებამდე მისული ზოგიერთი ინდიელი მიდის ქალაქში სამუშაოს საშოვნელად. მაგრამ მათ არა აქვთ არავითარი კვალიფიკაცია და განათლება, აღნიშნავს ეურნალი, და ისინი ან ავსებენ ამერიკის უმუშევართა ისედაც უზარმაზარ არმიას, ან ბრუნდებიან რეზერვაციაში, ესე იგი იქ

ახალი სეზონი, ახალი ამოცანები

აკ. შანიძე,
თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

წარმატებებით აღნიშნა გასული წლის შემოქმედებითი სეზონი თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა. ჩვენ ყოველმხრივ შევეცადეთ მაღალი იდეურ-მხატვრული ფორმებით აგვესახა საბჭოთა ადამიანების სისხლჭარბი ცხოვრება, მათი გმირული შემართება, მიზნები და მისწრაფებანი. გასულმა წელმა ახალი შემოქმედებითი გეგმები და მიზნებიც დაგვისახა.

ჩვენი თეატრი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს მაყურებელთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა საზაფხულო გასტროლების ჩატარებისას. წელს 14 მაისიდან 4 სექტემბრამდე მოგემსახურეთ დასავლეთ საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან ცენტრებს, როგორიც არიან: ქუთაისი, ზესტაფონი, ტყიბული, წყალტუბო, ფოთი, სამტრედია, მახარაძე, ზუგდიდი და სხვა ქალაქები და რაიონები. მრავალი წარმოდგენა და კონცერტი გავმართეთ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და მსხვილ საწარმოთა კულტურის სახლებში. კოლექტივის ყოველ გამოსვლას კმაყოფილებით ხვდებოდა ხალხი, ყოველ ნაბიჯზე იზრდებოდა თეატრის ავტორიტეტი.

თეატრის წარმატების ერთ-ერთ მთავარ პირობად უნდა ჩაითვალოს რეპერტუარის მრავალფეროვნება. დიდი ყურადღება დაეთმო თანამედროვეობის ამსახველ ოპერეტებსა და მუსიკალურ კომედიებს. მათი უმრავლესობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებსა და ნაკლოვანებებს ასახავს. ასეთებია, მაგალითად, „სიმღერა თბილისზე", „შეკანშნავი სამეული", „ს